საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია'' - მესამე კომპონენტის (სოფლის მეურნეობის სფეროს პროფესიული სტანდარტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მოდულების ოპტიმიზაცია/შემუშავება) პროექტის მესამე კომპონენტის ხელმძღვანელის შერჩევის მიზნით.

კონკურსი ცხადდება 2017 წლის 04 იანვარს და განცხადებების წარდგენის ბოლო ვადაა 2017 წლის 09 იანვრამდე.

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა წერილის სათაურის ველში აუცილებლად უნდა მიუთითოს ვაკანსიის დასახელება „პროექტის მესამე კომპონენტის ხელმძღვანელი", წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება განაცხადის განხილვა.

ადგილების რაოდენობა - 1;

კონკურსის შედეგად, პროექტის მესამე კომპონენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე შეჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვროს თვეში2467 ლარის ოდენობით.

პროექტის მესამე კომპონენტის ხელმძღვანელის თანამდებობის მიმართ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:
ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებულის აკადემიური ხარისხი;
ბ) განათლების სფეროში არანაკლებ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება, მათ შორის, არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება პროფესიული განათლების სფეროში;
გ) მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;
დ) საფუძვლიანი ცოდნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმის (პროფესიული სტანდარტების, ჩარჩო დოკუმენტების, მოდულების შემუშავების მიდგომები), ასევე პროფესიული განათლების სფეროს კანონმდებლობის, კვალიფიკაციების ეროვნული და ევროპული ჩარჩოების, დასაქმებისა და განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორების (ISCO, ISCED) შესახებ.

პროექტის მესამე კომპონენტის ხელმძღვანელის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:
ა) კომპონენტით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების მიზნით დეტალური სამოქმედო გეგმის მომზადება და შეთანხმების კოორდინატორთან შეთანხმება;
ბ) კომპონენტის ექსპერტთა საქმიანობის ხელმძღვანელობა, ექსპერტთა შორის სამუშაოს განაწილება, მათთვის მკაფიო მითითებების მიცემა, შუალედური და საბოლოო უკუკავშირის მიცემა შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით;
გ)პროფესიული სტანდარტების/ჩარჩო დოკუმენტებისა და მოდულების შემუშავება/ოპტიმიზაციის პროცესის კოორდინაცია;

დ) შესასრულებელი სამუშაოს თემატიკასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და ხელმძღვანელობა, სამუშაო შეხვედრების საფუძველზე გამოკვეთილი მოსაზრებების ანალიზი და დოკუმენტირება;
ე) კომპონენტის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის ანალიზი, ექსპერტების მიერ შესრულებულ სამუშაოზე დასკვნების მომზადება და შეთანხმების კოორდინატორისთვის მიწოდება;
ვ) ყოველი თვის ბოლოს, განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენა შეთანხმების კოორდინატორისათვის;
ზ) საჭიროების შემთხვევაში, პროექტის სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრებში მონაწილეობა და მოთხვნილი ინფორმაციის წარდგენა.

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე, info@eqe.ge აუცილებლად უნდა გამოგზავნოს:
ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ბ) ავტობიოგრაფია - (CV) ქართულ ენაზე;
გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:
ა) განცხადებების გადარჩევა;
ბ) გასაუბრება.